სსიპ შოთა რუსთაველი ს
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

28 ივნისი 2024 **ქ. თბილისი**

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 102

2024 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში დარეგისტრირებული პროექტების საბოლოო ქულის დაანგარიშების და დაფინანსების წესის შესახებ

„ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესი და პირობების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2024 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსზე დარეგისტრირებული პროექტების საბოლოო ქულის დაანგარიშების და დაფინანსების წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი

დანართი

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

2024 წლის 28 ივნისის N ---102--- ბრძანებით

2024 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში მონაწილე პროექტებისათვის საბოლოო ქულის გამოთვლისა და დაფინანსების წესები

§1. პროექტის საბოლოო ქულის გამოთვლის წესი

1. კონკურსის პირობებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტები ფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის №135/ნ ბრძანების მე-11 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

2. პროექტი შესაფასებლად გადაეცემა ორ დამოუკიდებელ ექსპერტს.

3. ორი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შეფასებული პროექტი მიღებულ შეფასებებთან და პროექტის წარმდგენი ახალგაზრდა მეცნიერის განმარტება/დაზუსტებასთან[1] ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადაეცემა ექსპერტთა ჯგუფს (პანელს). ექსპერტთა ჯგუფი (პანელი) განსაზღვრავს საბოლო ქულასა და წარმოადგენს კომენტარს თითოეული პროექტისათვის.

§2. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების წესი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით

1. კონკურსის ბიუჯეტი ნაწილდება თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებლების მიხედვით:

სამეცნიერო მიმართულებები	პროცენტები
1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	25%

[1] ახალგაზრდა მეცნიერს ეძლევა საშუალება გააკეთოს განმარტება/დაზუსტება, თუკი ის არ ეთანხმება ექსპერტ(ებ)ის მოსაზრებას.

2. ინჟინერია და ტექნოლოგიები	15%
3. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები	10%
4. აგრარული მეცნიერებები	5%
5. სოციალური მეცნიერებები	15%
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები	20%
7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები	10%

§3. საუკეთესო პროექტების განსაზღვრის წესი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით

1. საუკეთესო პროექტების განსაზღვრისათვის თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის 1,2, ... ,7, გამოითვლება იმ პროექტების ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომლებიც აკმაყოფილებენ დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელ პირობას[2] (იხ. მე-11 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების მე-4 პუნქტი) და აღინიშნება შესაბამისად $n_1, n_2, \dots, n_7$-ით.

2. $n_1, n_2, \dots, n_7$ არის შესაბამისად 1,2, ... ,7 სამეცნიერო მიმართულებების ქვედა ზღვარი.

3. პროექტებს, რომელთა შეფასებაც მეტია ან ტოლია შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებების ქვედა ზღვარზე, ეწოდებათ საუკეთესო პროექტები.

§4. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების წესი სამეცნიერო ქვემიმართულებების მიხედვით

თითოეული სამეცნიერო ქვემიმართულებიდან განიხილება მხოლოდ საუკეთესო პროექტები (იხილეთ § 3- ის 1-3 პუნქტები).

1. $\tau_{i.j}$ -ით აღინიშნება i-ური სამეცნიერო მიმართულების i.j ქვემიმართულების საუკეთესო პროექტების რაოდენობა, სადაც i= 1,2, … , 7.

[2] დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა, რომ პროექტმა მიიღოს 15 ან მეტი ქულა და პროექტის შეფასება პირველ კრიტერიუმში (სამეცნიერო კვლევითი პროექტი) უნდა იყოს არანაკლებ 3 ქულისა.

2. თითოეული i.j ქვე-მიმართულებისათვის განისაზღვრება კოეფიციენტი $\lambda_{i.j}$ შემდეგი ფორმულით:

$$\lambda_{i.j} = \frac{\tau_{i.j}}{t_i}, \qquad \text{i= 1,2, … , 7}$$

სადაც t_i არის i-ური სამეცნიერო მიმართულების საუკეთესო პროექტების რაოდენობა (იხილეთ § 3.-ის პუნქტები 1-3).

3. თითოეული i.j ქვე-მიმართულებისათვის განისაზღვრება ბიუჯეტი შემდეგი ფორმულით:

$$\varphi_{i.j} = \lambda_{i.j} f_i\ , \qquad \text{i= 1,2, … , 7}$$

სადაც $\varphi_{i.j}$ არის i.j ქვემიმართულების ბიუჯეტი, ხოლო f_i წარმოადგენს i-ურ სამეცნიერო მიმართულების ბიუჯეტს. (იხილეთ §2- ის პუნქტი 1-ის ცხრილი).

4. თუ რომელიმე i.j ქვე-მიმართულება არ შეიცავს არცერთ საუკეთესო პროექტს, მაშინ ის დარჩება დაფინანსების გარეშე.

§ 5. პროექტის დაფინანსების წესი

1. თითოეული ქვემიმართულებისათვის ცალ-ცალკე კეთდება ქულების მიხედვით პროექტების რანჟირებული სია.
2. ყოველ ქვემიმართულებაში ფინანსდება მხოლოდ საუკეთესო პროექტები შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვევით), სანამ ქვემიმართულებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი იძლევა პროექტის სრულად დაფინანსების საშუალებას.
3. კონკურსით გათვალისწინებული ყველა სამეცნიერო ქვემიმართულების რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ მიმართულებით) დაფინანსების შემდეგ თითოეულ სამეცნიერო ქვემიმართულებაში დარჩენილ თანხას ეწოდება ნაშთი, რომელიც აღარ ყოფნის რიგით მომდევნო პროექტს დასაფინანსებლად.
4. ფონდის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით ნაშთის გადანაწილების შესახებ რეკომენდაციების მომზადების მიზნით იქმნება სპეციალური სათათბირო ორგანო - საბჭო, რომელიც დაკომპლექტდება ფონდისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლებისგან.
5. საბჭოს დასაბუთებული რეკომენდაციის საფუძველზე გენერალური დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას ნაშთი გადაანაწილოს სამეცნიერო ქვემიმართულებებს შორის პრიორიტეტულად განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე ქვემიმართულებაში ან მიმართულებაში (რანჟირებული სიის მიხედვით) არსებულ პროექტებზე.

6. თუ რომელიმე გამარჯვებულ პროექტთან ვერ მოხერხდა ხელშეკრულების გაფორმება, მაშინ მის ნაცვლად კონკურსის იმავე მიმართულებაში (ან ქვემიმართულებაში) დაფინანსდება ერთიანი რანჟირებული სიის რიგით შემდეგი პროექტი, რომელიც აკმაყოფილებს დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელ პირობას, თუკი დარჩენილი თანხა საკმარისი იქნება პროექტის სრულად დაფინანსებისთვის.
7. საბჭო რეკომენდაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხმათაუმრავლესობით, რომელიც ფორმდება ოქმის სახით და წარეწდგინება გენერალურ დირექტორს.